

მაკა სალია /თურქეთი, დუზჯეს უნივერსიტეტი/

თურქულენოვანი სტუდენტებისათვის “კავკასიური ხშულების” (მკვეთრი თანხმოვნების) სწავლების საკითხისათვის

“ბგერების მიხედვით ენათა შორის მეტ-ნაკლები განსხვავება შეინიშნება. ქართული ენის ბგერითი სისტემისთვის დამახასიათებელია თანხმოვანთა მრავალფეროვნება. ტიპოლოგიურ ნიშანს წარმოადგენს მკვეთრი თანხმოვნების არსებობა, რომელიც ნიშანდობლივია ზოგადად იბერიულ-კავკასიური ბგერითი სისტემისთვის” (არნ. ჩიქობავა, 2008: 108). მსჯელობა ეხება **პ, ტ, კ, წ, ჭ, ყ** თანხმოვნებს. ფონეტიკურ ლიტერატურაში საანალიზო თანხმოვნების აღსანიშნავად ცნობილია ტერმინები: **“მკვეთრი თანხმოვნები”, “კავკასიური ხშულები”, “უსუნთქველი თანხმოვნები”, “აბრუპტივები”**. გ. ახვლედიანის ახსნით, აკუსტიკური შთაბეჭდილების მიხედვით, გამართლებულია ტერმინი **“მკვეთრები”,** მაგრამ **“გაჭირდა მისგან ტერმინების წარმოება და მისი უცხოურ ენებზე თარგმნა, ამიტომ ვხმარობთ ტერმინ აბრუპტივს (ლათ. აბრუპტიო “მოწყვეტა, მოგლეჯა”).** მართლაც, საარტიკულაციო ორგანოები სწრაფად მოწყდებიან ერთმანეთს. აკუსტიკურადაც მოწყვეტის შთაბეჭდილება გვაქვს. მისგან სხვა ტერმინების შედგენაც არაა ძნელი (აბრუპტივული, აბრუპტივიზაცია, დეზაბრუპტივიზაცია...), სხვა ენებზე მისი თარგმნის საჭიროებაც არაა (გ. ახვლედიანი, 1999: 80-81).

პ, ტ, წ, ჭ, კ, ყ თანხმოვნები უცხოა თურქული ენისთვის. ამიტომაც ქართული ენის სწავლებისას (თურქულენოვან სტუდენტებთან) ერთ-ერთი პრობლემა სწორედ ამ თანხმოვნებთან ე. წ. **“კავკასიურ ხშულებთანაა”** დაკავშირებული. სწავლების საწყის ეტაპზე, სტუდენტებს უჭირთ ბგერათა ჟღერადობით გარჩევა; დიდ დროს ვუთმობთ ცალკეული ბგერების სწორად წარმოთქმას, არტიკულაციასა და მისი უნარის გამოყენებას მეტყველებაში. სწავლების პროცესში ხშირად მივმართავთ ელექტრონულ რესურსებს, სადაც ერთერთი სავარჯიშოა **“მოსმენა, გამეორება”,** მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ ვაღწევთ. ზოგჯერ სტუდენტები იზეპირებენ სწორ ფორმებს: კერძოდ, ა) სიტყვებს, რომლებიც ამა თუ იმ ასო-ბგერის პირველი გაცნობისას გვხვდება:

- პ:** პეპელა, პავლე, პური, პაპა, აპრილი;
- ტ:** კატა, ტოტი. ტელეფონი, ტელევიზორი;
- წ:** წიწილა, წერო, წაბლი, წიწაკა;
- ჭ:** ჭიანჭველა, საჭმელი, ჭრიჭინა, ჭა, ჭიქა;

კ: სოკო, კომში, კუ, კოკა;

ყ: ყაყაჩო, ყინული, ყვავილი.

ბ) სიტყვებს, რომლებსაც ხშირად ვიყენებთ საგაკვეთილო პროცესში:

წიგნი, უნივერსიტეტი, ლექტორი, სტუდენტი... მიმართვის ფორმები - **ბატონო, ქალბატონო;** ან კიდევ ის სიტყვები, რომლებსაც მათ წასახალისებლად მივმართავთ: **ყოჩაღ! კარგი ხარ!**

თითოეულ ამ მეთოდს აქვს თავისი წვლილი სწავლების პროცესში, მაგრამ სასურველი შედეგისთვის, მეტი სავარჯიშო მასალა და სხვა მეთოდები და ხერხებია საჭირო. რადგანაც პრობლემები ისევ მრავლად და თავს იჩენს სტუდენტთა, როგორც მეტყველებაში ასევე, წერით დავალებებში.

წარმოგიდგენთ სტუდენტთა ნამუშევრებს. მაგ.: “თბილისთან ახლოს **სიმცვანეში** ჩაფლული პატარა სოფელია. აქ ერთი ლამაზი **ექლესია** დგას. **ჩისქვილებიც პათარაა**. აქაური ვაზი და **ქურზენი** ცნობილია საქართველოში. “ბაბუ“. რატომ ცვალობ, მენ ხომ მაგათ **ნაქოფს** ვერ მოესწრები? -ვიცი, რომ ვერ **მოვესცრები**, მაგრამ სხვები **მოვესცრებიან** და **ითქვიან ასხონოსო** - “უფასუხა მოხუცმა“; “თბილისი დიდი **მუსიკალური კულტურის ცენტრია**“...

ცნობილია, რომ მკვეთრი თანხმობენები სამეულთა სისტემაში ერთ-ერთ ლოკალურ რიგს ქმნიან:

ბ ფ პ

დ თ ტ

ძ ც წ

ჯ ჩ ჰ

გ ქ კ

ყ

მეტყველების დროს ხდება ყრუ მკვეთრი თანხმობის ჩანაცვლება სამეულის ყრუ ფშვინვიერით, რაც სათანადო ასახვას პოულობს სტუდენტთა წერით ნამუშევრებშიც (იხ. ზემოთ):

სიმწვანე -> სიმცვანე

ექლესია -> ექლესია

წისქვილი -> ცისქვილი

უპასუხა -> უფასუხა ...

მეტყველების დროს კ მკვეთრი თანხმობის ნაცვლად ხშირად გ მჟღერი თანხმობანიც ისმის. მაგ.: თავს **გაგალი უკვარს...**

წერთი მეტყველების დროს ხშირად ვხვდებით ყ -> კ

შემთხვევებს: **მიყვარს -> მიკვარს, ტყე -> ტკე, ყაყაჩო -> კაკაჩო...**

მეტყველებაში კი ყ ბგერის ადგილას ისმის “გ“ ან “ქ“ ბგერები:

მიქვარს (<-მიყვარს), **ქიდულობს** (ყიდულობს), **გაგაჩო** (ყაყაჩო)...

სიტუაცია უფრო რთულდება, როდესაც სიტყვაში ერთზე მეტი მკვეთრი თანხმობანია. მაგ.: “წყალი“ სიტყვის წარმოთქმისას ისმის

ცქალი, სქალი, სხალი ფორმები, “ტყის“ ნაცვლად მათ მეტყველებაში დასტურდება - **თქე, ტკე...**

ქართულში ამა თუ იმ ბგერის არასწორად გამოყენება სიტყვას ან მნიშვნელობას უცვლის, ან საერთოდ აბუნდოვანებს აზრს (კარი : ქარი; წელი: ცელი...) - საგანგებოდ შერჩეულ სავარჯიშოებზე მუშაობით, სტუდენტები თავად მიდიან აღნიშნულ დასკვნამდე და მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან მართლწერისა და მეტყველების პრობლემებს.

ქართული ენა თურქულენოვანი სტუდენტებისთვის უცხო ენაა, ამიტომ, ზემოთ აღნიშნული პრობლემებიც ბუნებრივია, მაგრამ ვფიქრობ, ეს ხარვეზები, მხოლოდ სწავლების საწყისი ეტაპისთვისაა დამახასიათებელი და დაძლევალია.

დამოწმებული ლიტერატურა:

ახვლედიანი, 1999 - გიორგი ახვლედიანი. ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. თბ. 1999;

ჩიქობავა, 2008 - არნოლდ ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი. თბ. 2008;

Maka Salia /Duzce University/

Teaching Turkish-Speaking Students the So-Called ‘Caucasian Occlusive Sounds’ (Ejective Consonants)

Summary

In 2013, specialty of the Georgian language and literature was opened at the Düzce University (the Republic of Turkey). Correspondingly, there is only the first year course of this specialty. The problem we encounter at this stage of teaching is of phonetic character and concerns the Caucasian occlusive sounds.’

პ, ტ, კ, წ, ჭ, ყ (p', t', k', c', č', q') ejective consonants, which are characteristic for the Caucasian languages, are unusual for the Turkish language. Students find it difficult to pronounce these sounds. They cannot distinguish these ejectives from some ejective sounds of the same line. This problem is reflected both in spoken as well as written speech.